ნანატრი გამარჯვება

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 21 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “კარპატი” (ლვოვი) 2:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშილი (ჟვანია, 39), ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი (თავაძე, 68), სულაქველიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია.

“კარპატი”: შვოინიცკი, როდინი, შრბეი, საულევიცი, კოჩუბინსკი, ბროვარსკი, ა. ბალი, დუბროვინი (მასიურა, 83) სუსლოპაროვი, დუმანსკი, დიკი.

მსაჯი: ე. შკლოვსკი.

დიახ, თბილისის “დინამომ” კარგა ხნის “შესვენების” შემდეგ გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში ნანატრი ორი ქულა ჩაიწერა, რომელსაც გულშემატკივრები ზუსტად ერთ თვეს უცდიდნენ. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ჩვენში საფეხბურთო ცხოვრება საკმაოდ შენელებული იყო, რაც საბჭოთა გუნდების ევროპულ ტურნირებში მონაწილეობამ გამოიწვია. ეს თავისებური “წუთ–შესვენება” “შინ დარჩენილთ” საკუთარ სათამაშო საშუალებათა ერთგვარი გადახალისების საშუალებას აძლევდა, ხოლო მათ, ვინც უეფა–ს ასპარეზობებში მონაწილეობდა, თამაში თანამედროვე “ევროპული მოდით” გაემდიდრებინათ და საკავშირო პირველობის მორიგ, 23–ე ტურში რაიმე სიახლეებით წარმდგარიყვნენ, თუმცა, თბილისის “დინამოც” მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ამ დღეებში კიდევ ერთხელ დააჭაშნიკა ევროპული ფეხბურთი, მისგან აღმოჩენებს მაინც არავინ ელოდა, რადგან თასების მფლობელთა თასის პირველ მატჩში მას საქმე ჰქონდა ისეთ მეტოქესთან, რომელიც არაფრით არ ბრწყინავს კონტინენტის თანავარსკვლავედში.

და მიუხედავად ამისა, დინამოელებს, რომლებიც კვირას გათამაშების აუტსაიდერ – ლვოვის “კარპატს” მასპინძლობდნენ, მაინც ჰქონდათ თავიანთ სამზარეულოში შეზავებული რაღაც სიახლე და მას “ევროპულს” აშკარად ვერ უწოდებ, რადგან სალონიკში იგი არ გამოუყენებიათ.

სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ სულაქველიძეს, რომელიც ბოლო დროს მოედანზე შრომატევად სამუშაოს ასრულებს, საგრძნობლად უნდა გაეზარდა თავისი მოქმედების დიაპაზონი. მართალია იგი ამ დღეს თავდამსხმელის როლში მოგვევლინა, მაგრამ რვანომრიანი მაისური მას სულაც არ ანთავისუფლებდა თავისი ფუნქციებისაგან, საიდანაც მას უშუალოდ მეტოქის კარის მისადგომები უნდა დაელაშქრა. ამაში მხარი უნდა აებათ მისთვის ჭილაიას, რომელმაც ნახევარდაცვიდან უკანა ხაზზე გადაინაცვლა და იმავე ყიფიანს. რამდენად გაართმევს თავს მცველი ამ ამპლუას, საერთოდ ამას მომავალი გვიჩვენებს. განვლილ მატჩში კი მას ამინდი არ შეუქმნია და “დინამომ” ნაცადი ხერხით მიაღწია წარმატებას.

რა შეიძლება ითქვას სტუმართა თამაშზე? როგორც ცნობილია, აუტსაიდერს სატურნირო ცხრილში შექმნილი მდგომარეობა ავალებს მთელი პასუხისმგებლობით ჩაატაროს დარჩენილი შეხვედრები, რათა თავი დააღწიოს სახიფათო ზონას. ალბათ, სწორედ ლვოველთა ამ პასუხისმგებლობამ განაპირობა ის, რომ მათ ამას წინათ მოსკოვის დინამოელებთან ძალზე საპატიო გამარჯვებას მიაღწიეს, რაც გასათვალისწინებელი იყო თბილისელთათვის. საინტერესო იყო აგრეთვე გვენახა თუ რის ხარჯზე შეძლო “კარპატიმ” ესოდენ ცნობილი გუნდის დამარცხება. ლვოველთაგან ასეთი სიურპრიზები სრულიად მოსალოდნელია საერთოდ. გულშემატკივრებს, ალბათ ახსოვთ ჯერ კიდევ მეორე ეშელონში მყოფი “კარპატის” წარმატება სსრ კავშირის თასზე…

ამ ორიოდე წლის წინ კი, როცა ლვოველები უძლიერესთა რიგებს დაუბრუნდნენ, მათ რიგებში სსრ კავშირის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში 7 ლვოველი გამოდიოდა. მაგრამ დღეს გუნდი აშკარად კრიზისს განიცდის და მაინც ჰყავს ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები, როგორიც ა. ბალი, სუსლოპაროვი და დუმანსკია, რომლებიც, შესანიშნავად იბრძოდნენ მოედანზე და მათმა თამაშმა ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

როგორღა იქნა გატანილი დინამოელთა მიერ ეს ორი გოლი? შეხვედრის 39–ე წუთზე შენგელიამ, რომელიც ამ დღეს მართლაც აგრესიულად იბრძოდა სტუმრების საჯარიმოზე ბურთისთვის, ძნელ მდგომარეობაში მისწვდა ყიფიანის ჩაწოდებას და გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ კი მოედნის შუაგულში თავადვე დაეუფლა ბურთს; მძაფრი რეიდი განახორციელა მარჯვენა ფრთაზე და კუთხურის ნიშნულიდან ბურთი კარის გასწვრივ ჩაჰკიდა. იგი ჩელებაძემ მიიღო და აქვე ყიფიანს გადასცა, რომელმაც თავით კარის დაბალ კუთხეში გაგზავნა – 2:0, გაიმარჯვა “დინამომ”.

ჭ. უნგიაძე.
“ლელო”, 23 სექტემბერი, 1980 წ.